ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N10

19 მაისი 2023 წ.

ქ. ბათუმი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და 125[3] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილითა და 125[3] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N8 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge გამოქვეყნების თარიღი: 24/09/2015 სარეგისტრაციო კოდი (020080160.35.132.016254) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12—მე-16 ნაწილებით, 125[3] მუხლით, 135-ე და 135[1] მუხლებით 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125[3] მუხლით, 135-ე და 135[1] მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“.

2. დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-

ე მუხლის მე-8 და მე-12–მე–16 ნაწილებით, 125^3 მუხლის, 135-ე და 135^1 მუხლებით, 209^3 მუხლის მე-2 ნაწილის, 239–ე მუხლის 27-ე ნაწილის, 240^1 მუხლის, 242-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და ამავე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილის, 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 290^4 -290^6 მუხლების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს № 1-1/344 ბრძანების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/345 ბრძანების, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2001 წლის 26 თებერვლის №4 დადგენილების საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**“.

3. დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12—მე-16 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე 13 და მე-15 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესი, თანახმად დანართი 1-სა;“.

4. დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

5. დადგენილების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“, „თ“ და „ი"ქვეპუნქტები:

„ზ) ახსნა-განმარტების ფორმა, თანახმად დანართი 7-სა.

თ) ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ფორმა,თანახმად დანართი 8-სა.

ი) სააღსრულებლო ფურცლის ფორმა, თანახმად დანართი 9-სა.“.

6. დადგენილების პირველი მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 მუხლი:

„მუხლი 1^1

ა) მიენიჭოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ბათუმის მუნიციპალურ ინსპექციას“ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12 - მე-16 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებულ

სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსების უფლებამოსილება.

ბ) მიენიჭოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ბათუმის მუნიციპალურ ინსპექციას“ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერის უფლებამოსილება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 29 მაისიდან.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

დანართი 1

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე 13 და მე-15 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ეს წესი, მოქმედი სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით, განსაზღვრავს ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“ (შემდგომში - ინსპექცია) მიერ შესავსები, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-16 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^3 მუხლით, 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენა/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების გასაჩივრების სამართლებრივ მექანიზმებს.

მუხლი 2. საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე/გამოწერაზე უფლებამოსილი პირი

1. საჯარიმო ქვითარს - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს (შემდგომში – საჯარიმო ქვითარი – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი) ბურთულიანი კალმით ან ელექტრონული ფორმით (შემდგომში -ელექტრონული საჯარიმო ქვითარი) ადგენს/გამოწერს ინსპექციის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი თანამშრომელი (შემდგომში- თანამშრომელი).

2. თანამშრომელი, როგორც წესი, საჯარიმო ქვითარს - ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევის ოქმს გამოწერს ელექტრონული ფორმით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეუძლებელია, საჯარიმო ქვითარს - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს ბურთულიანი კალმით.

3. სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით თანამშრომელი უფლებამოსილია ნებისმიერი სახით და ფორმით განახორციელოს შემოწმება. ამასთან, თანამშრომელი ვალდებულია შემოწმებისას იქონიოს და საჭიროებისას წარადგინოს სამსახურებრივი მოწმობა.

მუხლი 3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12—მე-16 ნაწილებით, 125^3 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი და მისი შედგენა

1. საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ივსება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12—მე-16 ნაწილებით, 125^3 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რა დროსაც თანამშრომელი ადგილზე განიხილავს სამართალდარღვევის საქმეს და დამრღვევს ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს ადგილზე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას), მიუხედავად იმისა, დამრღვევი ეთანხმება თუ არა მის მიმართ გამოყენებულ პასუხისმგებლობის ზომას. სამართალდარღვევის ფაქტზე სამართალდამრღვევის არყოფნის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს.

2. საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა შედგება ორი ნაწილისაგან:

ა) პირველი ნაწილი – ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე;

ბ) მე-2 ნაწილი – საჯარიმო ქვითრის ყუა.

3. საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის პირველ ნაწილს ავსებს თანამშრომელი.

4. თანამშრომელი ავსებს საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის პირველ ნაწილზე დატანილ შემდეგ ინფორმაციას:

ა) სატრანსპორტო საშუალების ნომერი (მიეთითება სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი და ნიშნები), შიდა ტრანზიტი, ტრანზიტული ნომერი ან „TEST“ ნომერი, რომელზეც დგება საჯარიმო ქვითარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი);

ბ) სატრანსპორტო საშუალების მარკა (მიეთითება სატრანსპორტო საშუალების მარკა, რომელზეც დგება საჯარიმო ქვითარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი);

გ) სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი (მიეთითება სატრანსპორტო საშუალების მდებარეობა, სადაც მოხდა სამართალდარღვევა);

დ) დარღვევის არსი (მიეთითება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან გამომდინარე სამართალდარღვევის ფაქტობრივი გარემოება);

ე) სასკ-ის (მიეთითება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლი და ნაწილი, რომლის დარღვევასაც შედეგად მოჰყვა საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა);

ვ) შენიშვნა (მიეთითება შენიშვნა ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ზ) სახაზინო კოდი (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე მიეთითება სახაზინო კოდი 300693239, ხოლო 125-ე მუხლის მე-12-მე-16 ნაწილებითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^3 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე – 300693251);

თ) ჯარიმის ოდენობა (მიეთითება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა);

ი) სამართალდარღვევის თარიღი, დრო (მიეთითება საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის წელი, თვე, რიცხვი და დრო);

კ) სატრანსპორტო საშუალების მდებარეობა (მიეთითება სატრანსპორტო საშუალების განთავსება ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებულ მისამართთან);

ლ) უფლებამოსილი პირი (მიეთითება საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსები თანამშრომლის სახელი და გვარი);

მ) უფლებამოსილი პირის ხელმოწერა (ხელს აწერს საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსები თანამშრომელი);

ნ) დამრღვევის სახელი, გვარი (ივსება სამართალდამრღვევის ადგილზე ყოფნის შემთხვევაში და მიეთითება სამართალდამრღვევის სახელი და გვარი);

ო) მისამართი (ივსება სამართალდამრღვევის ადგილზე ყოფნის შემთხვევაში და მიეთითება სამართალდამრღვევის მისამართი);

პ) პირადი № (ივსება სამართალდამრღვევის ადგილზე ყოფნის შემთხვევაში და მიეთითება სამართალდამრღვევის პირადი №);

ჟ) დამრღვევის ახსნა-განმარტება (ივსება სამართალდამრღვევის ადგილზე ყოფნის და მის მიერ ახსნა-განმარტების მიცემის შემთხვევაში და მიეთითება ინფორმაცია ახსნა-განმარტების გვერდების რაოდენობის შესახებ);

რ) მოწმე ან სხვა მონაწილე პირი (ივსება მოწმის ან სხვა მონაწილის არსებობის შემთხვევაში და მიეთითება მოწმის ან სხვა მონაწილის სახელი და გვარი).

5. საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის პირველ ნაწილში დატანილ ინფორმაციას – „დამრღვევის ხელმოწერა“ სამართალდამრღვევის ადგილზე ყოფნის შემთხვევაში ხელს აწერს სამართალდამრღვევი, ხოლო ინფორმაციას „მოწმის ან სხვა მონაწილე პირის ხელმოწერა“ მოწმის ან სხვა მონაწილე პირის არსებობის შემთხვევაში – მოწმე ან სხვა მონაწილე პირი.

6. საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მე-2 ნაწილი – საჯარიმო ქვითრის ყუა ივსება საბანკო დაწესებულების ან საჯარიმო თანხის შემტანის მიერ პირველი ნაწილის შესაბამისად.

7. საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მეორე გვერდზე დატანილია შემდეგი ტექსტი:

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის მიხედვით აქვს შემდეგი უფლებები და მოვალეობები: გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით მოქალაქეს უფლება აქვს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება 10 დღის ვადაში გაასაჩივროს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს ჯარიმასთან ერთად დაერიცხება საურავი 150 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ამსახველი ფოტომასალის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: ------

ცხელი ხაზი: ------

დამკვეთი: დამამზადებელი:

მისამართი: სფს-ს რეგისტრაციის №

8. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“-„ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები, საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის წებვად ნაწილზე (რომლის ადგილი გათვალისწინებულია საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის პირველ ნაწილზე) აისახება სპეციალური ელექტრონული მოწყობილობის მიერ ფურცელზე დატანილი ინფორმაციის ჩაკვრით. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „მ“-„რ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაცემები თანამშრომლის მიერ ივსება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით, ხოლო ტერმინალის გაუმართაობისას, იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სპეციალური ელექტრონული მოწყობილობიდან ფურცლის ამობეჭდვა, თანამშრომელი საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის წებვად ნაწილზე დასატან ინფორმაციას შეავსებს ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით.

9. საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსებისას ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განემარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

10. სამართალდამრღვევის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში თანამშრომელი ვალდებულია, საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსებისას სამართალდარღვევა დააფიქსიროს ფოტოფირებით, რომლითაც შესაძლებელი იქნება დაჯარიმებული სატრანსპორტო საშუალებისა და დაჯარიმების ადგილის იდენტიფიცირება. აღნიშნული მტკიცებულება უნდა განთავსდეს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: inspection.batumi.gov.ge, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. თუ დამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ, თანამშრომელმა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის 2^1 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება სამართალდამრღვევი მიიყვანოს პოლიციაში სახელის, გვარისა და საცხოვრებელი მისამართის დადგენის მიზნით. აღნიშნული მონაცემების დადგენის შემდეგ თანამშრომელი ავსებს საჯარიმო ქვითარს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს.

12. სამართალდამრღვევის ადგილზე ყოფნის შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი) ერთი ეგზემპლარი გადაეცემა დამრღვევს. თუ სამართალდამრღვევი ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ადგილზე არ იმყოფება, საჯარიმო ქვითარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი განთავსდება სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე, ხოლო ერთი ეგზემპლარი ეგზავნება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს.

13. დაუშვებელია საჯარიმო ქვითარში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში გადახაზვა, გადაფხეკა, გადაშლა და ა. შ. საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი საჯარიმო ქვითარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, ძველი გადაიხაზება ჯვარედინად, რომელსაც საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემვსები თანამშრომელი მოხსენებითი ბარათით, გაუქმების მიზეზების მითითებით, აბარებს საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმების გაცემაზე პასუხისმგებელ პირს.

14. თუ დამრღვევი უარს აცხადებს საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ხელმოწერაზე ან ჩაბარებაზე, ამის შესახებ საჯარიმო ქვითარში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი თანამშრომლის მიერ, რის შემდეგაც საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მეორე ეგზემპლარი ითვლება ჩაბარებულად. დამრღვევი უფლებამოსილია წარადგინოს საჯარიმო ქვითარზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე დასართავი ახსნა-განმარტება სამართალდარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც დაერთვება საჯარიმო ქვითარს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმების გაცემაზე პასუხისმგებელ პირს.

15. ინსპექცია საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან 10 დღის ვადაში ვალდებულია აცნობოს აღნიშნულის თაობაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

16. ინსპექცია ვალდებულია, უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12—მე16 ნაწილებით, 125^3 მუხლით და 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისას ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შინაარსი და მისი გამოწერა

1. ელექტრონული საჯარიმო ქვითარი წარმოადგენს საჯარიმო ქვითრის ფორმას, რომელიც იმავდროუალად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

2. ელექტრონული საჯარიმო ქვითარი არ არის მკაცრი აღრიცხვის ფორმა.

3. ინსპექცია უფლებამოსილია თანამშრომელი აღჭურვოს შესაბამისი ელექტრონული მოწყობილობით, რომლის მეშვეობით ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შემვსები დააფიქსირებს აღნიშნულ პროცესს. ელექტრონული მოწყობილობით დაფიქსირებული ინფორმაცია (პერსონალური მონაცემები) დაცული უნდა იქნეს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

4. თანამშრომელი ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს ავსებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^3 მუხლით და 135-ე და 135^1 მუხლებით თუ სამართალდამრღვევს არ აქვს პიროვნების დამადასტურებელი საბუთები და არ არიან მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ მიაწოდონ საჭირო ცნობები მის შესახებ, თანამშრომელმა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 243-ე მუხლის 2^1 ნაწილის შესაბამისად, შეიძლება სამართალდამრღვევი მიიყვანოს პოლიციაში სახელის, გვარისა და საცხოვრებელი მისამართის დადგენის მიზნით. აღნიშნული მონაცემების დადგენის შემდეგ თანამშრომელი ავსებს ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს. აღნიშნული პროცესი თანამშრომელმა შეიძლება დააფიქსიროს ელექტრონული მოწყობილობით და ამის თაობაზე ვალდებულია აცნობოს სამართალდამრღვევს.

5. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს ავსებს თანამშრომელი ელექტრონულად და იგი ფიქსირდება ინსპექციის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. ელექტრონულად დაფიქსირებული პერსონალური მონაცემები დაცული უნდა იქნეს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად. სამართალდამრღვევს გამოეწერება და ბარდება ამობეჭდილი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარსა და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც მატერიალურ საჯარიმო ქვითარს.

6. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შევსებისას ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს განემარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

7. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარში შეიტანება:

ა) ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი (ენიჭება ელექტრონული პროგრამის მიერ ავტომატურად);

ბ) შევსების თარიღი, დრო (მიეთითება ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შევსების რიცხვი, თვე, წელი და დრო);

გ) სამართალდარღვევის თარიღი, დრო (მიეთითება სამართალდარღვევის ჩადენის რიცხვი, თვე, წელი და დრო);

დ) სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი (მიეთითება სატრანსპორტო საშუალების მდებარეობა, სადაც მოხდა სამართალდარღვევა);

ე) შემვსების თანამდებობა, სახელი და გვარი (მიეთითება ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შემვსები თანამშრომლის თანამდებობა, სახელი და გვარი);

ვ) სატრანსპორტო საშუალების მარკა და ნომერი (მიეთითება იმ სატრანსპორტო საშუალების მარკა და რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი და ნიშნები), შიდა ტრანზიტი, ტრანზიტული ნომერი ან „TEST“ ნომერი, რომელზეც ივსება ელექტრონული საჯარიმო ქვითარი);

ზ) სამართალდამრღვევის სახელი, გვარი, პირადი №, სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში) მისამართი (მიეთითება სამართალდამრღვევის სახელი და გვარი, პირადი №, მისამართი (რეგისტრაციის და სხვა) და ივსება სამართალდამრღვევის ადგილზე ყოფნის შემთხვევაში);

თ) არსი (მიეთითება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან გამომდინარე სამართალდარღვევის ფაქტობრივი გარემოება);

ი) პასუხისმგებლობა (მიეთითება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლი და ნაწილი, რომლის დარღვევასაც შედეგად მოჰყვა ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენა);

კ) სატრანსპორტო საშუალების მდებარეობა (მიეთითება სატრანსპორტო საშუალების განთავსება ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებულ მისამართთან);

ლ) ჯარიმის ოდენობა (მიეთითება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა);

მ) სახაზინო კოდი (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე მიეთითება სახაზინო კოდი 300693239; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე მიეთითება სახაზინო კოდი 300693251; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125^3 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე მიეთითება სახაზინო კოდი 300693251; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე და 135^1 მუხლებით სამართალდარღვევებზე მიეთითება სახაზინო კოდი 300693259);

ნ) მოწმე ან სხვა მონაწილე პირი, სტატუსი, სახელი, გვარი და ხელმოწერა (ივსება მოწმის ან სხვა მონაწილე პირის არსებობის შემთხვევაში და მიეთითება მოწმის ან სხვა მონაწილე პირის სტატუსი, სახელი და გვარი);

ო) სამართალდამრღვევის ხელმოწერა - ხელს აწერს სამართალდამრღვევი, სამართალდამრღვევის ადგილზე ყოფნის შემთხვევაში. სამართალდამრღვევის მიერ ხელმოწერაზე ან/და ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ჩაბარებაზე უარის შემთხვევაში კეთდება სათანადო ჩანაწერი;

პ) შემვსების ხელმოწერა - ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შემვსები თანამშრომლის ელექტრონული ხელმოწერა;

ჟ) შენიშვნა (მიეთითება შენიშვნა ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის მეორე გვერდზე დატანილია შემდეგი ტექსტი:

ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები:

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ. გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი წარედგინება საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელ იურიდიულ პირს ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალურ ინსპექციას“ (მისამართი: ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის №56).

ელექტრონული საჯარიმო ქვითრით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი.

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ჯარიმის ორმაგი ოდენობით, 125^3 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის დაკისრებული ჯარიმის სრული ოდენობით, 125^3 მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილით ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 150 ლარის ოდენობით, 125^3 მუხლის 5^1 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 200 ლარის ოდენობით, 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 500 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ამსახველი ფოტომასალის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: inspection.batumi.gov.ge.

ცხელი ხაზი: 595 00-13-07

9. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს ხელს აწერს მისი შემვსები, ადგილზე ყოფნის შემთხვევაში - სამართალდამრღვევიც, ხოლო მოწმის ან სხვა მონაწილის შემთხვევაში ელექტრონულ საჯარიმო ქვითარზე შეიძლება ხელი მოაწერონ ამ პირებმაც. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შევსებისას თანამშრომელმა უნდა იმოქმედოს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

10. სამართალდამრღვევის ადგილზე არყოფნის შემთხვევაში თანამშრომელი ვალდებულია ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შევსებისას სამართალდარღვევა დააფიქსიროს ფოტოფირებით, რომლითაც შესაძლებელი იქნება დაჯარიმებული სატრანსპორტო საშუალებისა და დაჯარიმების ადგილის იდენტიფიცირება. აღნიშნული მტკიცებულება უნდა განთავსდეს ელექტრონულ მისამართზე: inspection.batumi.gov.ge, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ელექტრონული საჯარიმო ქვითარი შესაძლებელია გადამოწმებულ იქნეს ელექტრონულ მისამართზე: inspection.batumi.gov.ge.

11. თუ ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი უარს აცხადებს ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ხელმოწერაზე ან ჩაბარებაზე, ამის შესახებ ელექტრონულ საჯარიმო ქვითარში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შემვსების მიერ. ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი უფლებამოსილია წარადგინოს ელექტრონულ საჯარიმო ქვითარზე თანდასართავად ახსნა-განმარტებები და შენიშვნები ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შინაარსთან დაკავშირებით, ასევე ახსნას ელექტრონულ საჯარიმო ქვითარში ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

12. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას, თუ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევს სურს ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს დაურთოს ახსნა-განმარტება, ივსება სპეციალური ფორმა.

13. სამართალდამრღვევის ადგილზე ყოფნის შემთხვევაში ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ამონაბეჭდი გადაეცემა სამართალდამრღვევს. თუ სამართალდამრღვევი ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ადგილზე არ იმყოფება, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ამონაბეჭდი განთავსდება სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე, ხოლო ამონაბეჭდი ასევე ეგზავნება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს.

14. თუ სამართალდამრღვევი უარს აცხადებს ამობეჭდილი ელექტრონული საჯარიმო ქვითრის მიღებაზე, თანამშრომელი ამას აღნიშნავს საჯარიმო ქვითარში, რის შემდეგაც ამობეჭდილი ელექტრონული საჯარიმო ქვითარი ითვლება ჩაბარებულად.

15. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შევსებისას არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი, ხოლო არასწორად შევსებული საჯარიმო ქვითარის შესახებ თანამშრომელი მოხსენებითი ბარათით, გაუქმების მიზეზების მითითებით აცნობებს ინსპექციის უფლებამოსილ პირს, რომელიც აისახება ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.

16. ინსპექცია, ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენიდან 10 დღის ვადაში, ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე აცნობოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს.

მუხლი 5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^3 მუხლით და 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შინაარსი და მისი გამოწერა

1. ელექტრონული საჯარიმო ქვითარი წარმოადგენს საჯარიმო ქვითრის ფორმას, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

2. ელექტრონული საჯარიმო ქვითარი არ არის მკაცრი აღრიცხვის ფორმა.

3. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს ადგენს თანამშრომელი ელექტრონულად და იგი ფიქსირდება ინსპექციის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. ელექტრონულად დაფიქსირებული პერსონალური მონაცემები დაცული უნდა იქნეს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

4. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარში მონაცემები შეიტანება ამ წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, გარდა ამავე პუნქტის „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტებისა, რომლებიც არ ივსება.

5. ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს ხელს აწერს მისი შემვსები. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შევსებისას თანამშრომელი უფლებამოსილია იმოქმედოს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

6. ელექტრონული საჯარიმო ქვითრის გამოწერისას მობილური ელექტრონული მოწყობილობა (პადი) უკავშირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემას (Protocols), რომლის მეშვეობით ხორციელდება: დაფიქსირებული სამართალდარღვევის ფაქტზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის/ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის გამოწერა ან/და სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანასთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვა; საჯარიმო ქვითრის/სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის თაობაზე ინფორმაციის სამართალდამღვევ პირთან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გზავნილის გაგზავნამდე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ან სხვა ტექნიკური საშუალებით გაგზავნა, თუ მონაცემთა ბაზაში არსებობს ამ პირის საკონტაქტო ინფორმაცია; საჯარიმო ქვითრით განსაზღვრული თანხის შეღავათით სარგებლობისა და გადახდის პროცესების მართვა; სამართალდამრღვევი პირისთვის საჯარიმო ქვითრის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გაგზავნისა და ჩაბარების პროცესის მართვა; საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების პროცესის მართვა; საჯარიმო ქვითრის ან/და საურავის კანონის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისას საქმის გადაგზავნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – აღსრულების ეროვნულ ბიუროში; სამართალდამრღვევის მიმართ ჯარიმისა ან/და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; საჯარიმო ქვითრის ან/და საურავის კანონის დადგენილ ვადაში გასაჩივრებისას გადაწყვეტილების მიღებამდე საჯარიმო ქვითრის აღსრულების მოქმედების შეჩერება.

7. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია თანამშრომელმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემაში (Protocols) საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი გამოწეროს ელექტრონული ფორმით (მათ შორის როდესაც სამართალდამრღვევი უცხო ქვეყნის მოქალაქეა), დგება საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს ერთი სამუშაო დღის ვადაში, აისახება ზემოაღნიშნულ სისტემაში.

8. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემის (Protocols) გამართულ ფუნქციონირებას და სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის შენახვას, სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო (ს/ნ 205339141).

მუხლი 6. საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმების დამზადება და დამცავი ნიშნები

1. საჯარიმო ქვითრები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმები მზადდება ინსპექციის შეკვეთის საფუძველზე, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. საჯარიმო ქვითრებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმებით მომარაგებას ინსპექცია ახორციელებს დამოუკიდებლად.

3. დამზადებული საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმების ბლანკების პოლიგრაფიული საწარმოდან გამოტანის უფლება აქვს პირს, რომელსაც გააჩნია ინსპექციის მიერ გაცემული სათანადო მინდობილობა.

4. საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმების მკაცრი აღრიცხვის ფორმად რეგისტრაციას, დამზადების ორგანიზებას და პოლიგრაფიული საწარმოდან გამოტანას ახორციელებს ინსპექცია.

მუხლი 7. საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმების შეუვსებელი ფორმების შენახვა

საჯარიმო ქვითრები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმების შეუვსებელი ფორმების შენახვა ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 8. საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმების გაცემა და დაბრუნება, მოთხოვნები აღრიცხვის ჟურნალის გაფორმებისა და შენახვისადმი

1. თანამშრომლისათვის საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმების შეუვსებელი ფორმების გაცემა ხორციელდება ინსპექციის პასუხისმგებელი პირის მიერ. საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმების გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღირიცხება საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალში (შემდგომში - ჟურნალი) . ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჟურნალი იხსნება ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჟურნალი იხსნება ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში.

3. ჟურნალის ფურცლები ინომრება რიგითობის მიხედვით. ჟურნალის გარეკანი და ფურცლები უნდა იქნეს ზონარგაყრილი. ამასთან, ზონარის კვანძზე ეკვრება ეტიკეტი, რომელიც მოწმდება ინსპექციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ინსპექციის ბეჭდით.

4. ჟურნალში ყველა ჩანაწერი კეთდება ლურჯი ან შავი ბურთულიანი კალმით.

5. ჟურნალში არ დაიშვება ჩანაწერის გადაფხეკა, ჩასწორება ან ადრე გაკეთებული ჩანაწერების ჩასწორება და მოშორება კორექტორის დახმარებით. აუცილებლობის შემთხვევაში უზუსტო ჩანაწერი გადაიხაზება ერთი ხაზით ისე, რომ ნათლად ჩანდეს ადრე დაწერილი ტექსტი, ახალი ჩანაწერი კეთდება ჟურნალის იმავე გრაფაში, ხოლო გრაფაში „შენიშვნა" ჟურნალის მწარმოებელი პასუხისმგებელი პირი აკეთებს შესაბამის ჩანაწერს (მაგალითად – შესწორებულია მე-2 და მე-10 გრაფები, თარიღი, ხელმოწერა, სახელი და გვარი).

6. იმ შემთხვევაში, თუ კალენდარული წლის განმავლობაში წარმოებული საქმეების რეგისტრაციისათვის ერთი ჟურნალი აღმოჩნდება არასაკმარისი, იხსნება ახალი ჟურნალი, რომელიც წარმოადგენს პირველის გაგრძელებას.

7. კალენდარული წლის ბოლოს, ჟურნალში ყველა საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის რეგისტრაციის შემდეგ, სათანადოდ უფლებამოსილი პირი აკეთებს ჩანაწერს რეგისტრირებული საქმეების საერთო რაოდენობის შესახებ.

8. ჟურნალი ინახება მის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან, რომელიც შემდგომში მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით გადაეცემა არქივს.

9. ჟურნალის შენახვის პირობები უნდა უზრუნველყოფდეს მის დაცულობას.

10. ჟურნალი წარმოადგენს შიდა გამოყენების დოკუმენტს და ის (ან მასში არსებული მონაცემები) არ შეიძლება გაიცეს მესამე პირებზე, გარდა მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. საჯარიმო ქვითარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, მისი შედგენიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, უნდა წარედგინოს საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების მიღებაზე და შემდგომ მის განაწილებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელსაც დაუყოვნებლივ შეაქვს მონაცემები ჟურნალში, ხოლო ამ დამრღვევის მიერ საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაუბარებლობის შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი ჩანაწერი კეთდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ჟურნალის შესაბამის გრაფაში.

მუხლი 9. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმების ჩამოწერა

1. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციული სამართალდარ-ღვევების ოქმების ჩამოწერა შეიძლება:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომების გამო;

ბ) ფორმების ფიზიკური დაზიანების გამო.

2. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერა უნდა მოხდეს ჩამოწერის აქტის მიხედვით. გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ექსკლუზიური ნუმერაცია შეტანილი უნდა იქნეს გამოსაყენებლად უვარგისი საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩამოწერის აქტში, რომელიც აღირიცხება დაბრუნებული (გაუქმებული ან გამოსაყენებლად უვარგისი) საჯარიმო ქვითრის (ოქმის) აღრიცხვის ჟურნალში.

3. გაუქმებული მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციას ახორციელებს ინსპექცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^3 მუხლით და 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისას გამოწერილი საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/ელექტრონული ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნება და დაჯარიმების შესახებ დადგენილების (საჯარიმო ქვითრის − ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/ელექტრონული საჯარიმო ქვითრის) აღსრულებისას შეღავათით სარგებლობა

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^3 მუხლით და 135-ე და 135^1 მუხლებით გათვალისწინებული

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისას გამოწერილი საჯარიმო ქვითრის-ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/ელექტრონული ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებისა და დაჯარიმების შესახებ დადგენილების (საჯარიმო ქვითრის − ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის/ ელექტრონული საჯარიმო ქვითრის) აღსრულებისას შეღავათით სარგებლობის წესი და პირობები განისაზღვრება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 თებერვლის № 4 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 11. საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების გასაჩივრება

1. საჯარიმო ქვითარი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, ხოლო საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილება მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება გასაჩივრდეს ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალურ ინსპექციაში“, მის: ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის ქ. N56.

2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დადგენილ ვადაში საჩივრის შეტანა მის განხილვამდე შეაჩერებს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ ამ კოდექსის 234^1 მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

3. საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების გასაჩივრების ან გაპროტესტების დროს დადგენილება აღსრულდება საჩივრის ან პროტესტის დაუკმაყოფილებლად დატოვების შემდეგ. აღსრულებაზე გადაგზავნილი საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების გასაჩივრების შემთხვევაში სამართალსუბიეტი ვალდებულია გასაჩივრების შესახებ აცნობოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

მუხლი 12. საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარება და გადახდა

1. სამართალდამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მისთვის ჩაბარებიდან, ხოლო ამ წესის მე-4 მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გათვალისწინებულ შემთხვევაში (როდესაც ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ამონაბეჭდი ეგზავნება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს) – სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისათვის რეგისტრაციის მისამართზე ან აღნიშნულ მისამართზე სრულწლოვანი პირისათვის ფოსტით ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში.

2. თუ ამ წესის მე-4 მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (როდესაც ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ამონაბეჭდი ეგზავნება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს) სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე მისთვის საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფოსტით ჩაბარებისას უარს განაცხადებს მის მიღებაზე, საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს საფოსტო გზავნილზე, რომელიც უბრუნდება ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) შემფარდებელს. ასეთ შემთხვევაში საჯარიმო ქვითარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება.

3. საჯარიმო ქვითარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ადრესატისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის რეგისტრაციის მისამართზე ერთი და იგივე სრულწლოვანი პირი საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფოსტით ჩაბარებისას განმეორებით განაცხადებს უარს მის მიღებაზე.

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში ან ელექტრონული გადახდის საშუალებით.

5. თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის დაკისრებული ჯარიმის თანხა სრულად ვერ ჩაირიცხა გადახდილი თანხიდან საბანკო დაწესებულების ან ელექტრონული გადახდის საშუალების მომსახურებისათვის დადგენილი საფასურის დაქვითვის გამო, რასაც მოჰყვა სამართალდამრღვევისათვის საურავის დარიცხვა, სამართალდამრღვევის მიერ ჯარიმის თანხის სრულ ოდენობამდე შევსების შემთხვევაში გაუქმდება მისთვის დარიცხული საურავი.

6. თუ ჯარიმის გადახდისათვის განსაზღვრული ვადის უკანასკნელი დღე დასვენების (შაბათი, კვირა) ან საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეს ემთხვევა, აღნიშნული ვადის დამთავრების დღე ჩაითვლება.

მუხლი 13. საურავის დარიცხვა და სააღსრულებო ფურცლის გამოწერა

1. ამ წესის შესაბამისად საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ან ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ჩაბარებიდან 30 დღეში დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევ პირს, ამ ვადის გასვლის შემდეგ, დაერიცხება საურავი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინსპექცია იღებს დადგენილებას საურავის დარიცხვის შესახებ, რომლის ასლის ჩაბარების ან გაგზავნის ვალდებულება ინსპექციას არ აქვს.

3. სამართალდამრღვევმა საურავი უნდა გადაიხადოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესით გათვალისწინებული ჯარიმის გადახდის ვადის გასვლიდან 30 დღეში.

4. ჯარიმის ან/და საურავის მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესით დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ინსპექციის მიერ გამოიწერება სააღსრულებო ფურცელი, რომელიც დაუყოვნებლივ ეგზავნება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

5. ინსპექციას ეკისრება ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დადგენილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა და კონტროლი მის აღსრულებაზე.

6. საჯარიმო ქვითარი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი არ აღსრულდება, თუ იგი მიქცეული არ იყო აღსასრულებლად გამოტანიდან ერთი წლის ვადაში, იგივე ვადა გამოიყენება საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების მიმართ.

7. დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილება სავალდებულოა შესასრულებლად სახელმწიფო და საზოგადოებრივი

ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ.

მუხლი 14. აღსრულების შეწყვეტა

ინსპექცია ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულებას წყვეტს:

ა) ამნისტიის აქტის გამოყენებისას, თუ ის აუქმებს ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებას;

ბ) ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი აქტის გაუქმებისას;

გ) იმ პირის გარდაცვალებისას, რომლის მიმართ იყო გამოტანილი დადგენილება.

მუხლი 15. ვადების ათვლა

ამ წესით განსაზღვრული ვადების ათვლისას გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის და 61-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მოთხოვნები.

მუხლი 16. დასკვნითი დებულება

ამ წესში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი 7

ახსნა-განმარტება

1. დამრღვევის:

ა) სახელი და გვარი_____

ბ) პირადი №_____

გ) მისამართი _____

დ) დაბადების თარიღი _____

ე) სამუშაო ადგილი _____

ვ) ადმ. სამართალდარღვევის ოქმის ნომერი _____

ზ) სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი

_____

_____

_____

_____

თ) ასკ-ის _____

2. ახსნა-განმარტების ან/და შენიშვნის შინაარსი: _____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

დამრღვევის ხელმოწერა: _____ თარიღი: _____

რიცხვი, თვე, წელი

თარჯიმანი (თუ არის): _____

ხელმოწერა, სახელი, გვარი

დანართი 8

ელექტრონული საჯარიმო ქვითარი
№ ბჯ 0000000

1. შევსების: თარიღი დრო
2.სამართალდარღვევის თარიღი: დრო:
3. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი:
4. შემვსების თანამდებობა: სახელი: გვარი:
5. სატრანსპორტო საშუალების მარკა: ნომერი:
6. სამართალდამრღვევის სახელი: გვარი: პირადი №: სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში) მისამართი:
7. არსი:
8. პასუხისმგებლობა:
9. სატრანსპორტო საშუალების მდებარეობა:
10. ჯარიმის ოდენობა:
11. სახაზინო კოდი სასკ-ის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილის შემთხვევაში: 300693239 სასკ-ის 125-ე მუხლის მე-12-მე-16 ნაწილის, 125^3 მუხლის შემთხვევაში: 300693251 სასკ-ის 135-ე და 135^1 მუხლის შემთხვევაში: 300693259
12. მოწმე ან სხვა მონაწილე პირი სტატუსი: სახელი: გვარი: ხელმოწერა:
13. სამართალდამრღვევის ხელმოწერა
14. შემვსების ხელმოწერა
15. შენიშვნა

ელექტრონული საჯარიმო ქვითრის მეორე გვერდი

ელექტრონული საჯარიმო ქვითრის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები:

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს მიეცა განმარტება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) გასაჩივრების 10-დღიანი ვადის შესახებ. გასაჩივრების შემთხვევაში საჩივარი წარედგინება საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენელ იურიდიულ პირს ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალურ ინსპექციას (მისამართი: ქ. ბათუმი, გალაქტიონ ტაბიძის №56).

ელექტრონული საჯარიმო ქვითრით დაკისრებული თანხა სამართალდამრღვევს შეაქვს საბანკო დაწესებულებაში ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოქმედ მის ფილიალებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად. თანხის გადახდისას მიეთითება სამართალდამრღვევის მონაცემები (ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნომერი.

საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის განსაზღვრული 30-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ პირს დაერიცხება საურავი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ჯარიმის ორმაგი ოდენობით, 125^3 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის დაკისრებული ჯარიმის სრული ოდენობით, 125^3 მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილით ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 150 ლარის ოდენობით, 125^3 მუხლის 5^1 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 200 ლარის ოდენობით, 135-ე და 135^1 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის - 500 ლარის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ამსახველი ფოტომასალის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: inspection.batumi.gov.ge

ცხელი ხაზი: 595 00-13-07

საქმე N-----

ს ა ა ღ ს რ უ ლ ე ბ ო ფ უ რ ც ე ლ ი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია

_____

(სააღსრულებო ფურცლის გამცემი)

_____

საქმე, რომლის გამოც გაცემულია სააღსრულებო ფურცელი

_____

დადგენილების გამოტანის თარიღი

_____

დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი

_____

_____

_____

_____

_____

_____

დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი

კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები:

მოვალის დასახელება და რეკვიზიტები:

სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი:

ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის“
დირექტორი